# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რაგორც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 20 იანვარი. 2022 წ. №11 (9349) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი


## 300 წლის შემდეგ საქართველო წმინდა მიწაზე ბრუნდება!

**ილია მეორე: ადამიანების წინაშე მრავალი განსაცდელია, მაგრამ გვახსოვდეს, რომ ღმერთი იცავს ყველას განსაცდელისგან**

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძრიდან მოქალაქეებს ნათლისღების დღესასწაული მიულოცა. როგორც პატრიარქმა აღნიშნა, ნათლისღება იმდენად დიდი დღესასწაულია, რომ ყველა ადამიანი უნდა ეზიაროს ამ მადლს.

**„ქრისტეს მიერ საყვარელო ძმანო და დანო, გილოცავთ ნათლისღების დღესასწაულს. ნათლისღება ქრისტესი უდიდესი დღესასწაულია ქრისტიანულ სამყაროში. იკურთხება წყალი, ნაკურთხი წყალი უნდა იყოს შენარჩუნებული მთელი წლის განმავლობაში. ნათლისღება იმდენად დიდი დღესასწაულია, რომ ყველა ადამიანი უნდა ეზიაროს ამ მადლს. ეს მადლი უნდა მიიღოს ყოველმა ადამიანმა. ნათლისღება არის წმინდა სამების დღესასწაული. ხმა უფლის, მისი მადლი გარდამოდის ხალხზე და ეს მადლი იცავს ყველა ადამიანს ხილული და უხილავი მტრებისგან. ადამიანების წინაშე მრავალი განსაცდელია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთი იცავს ყველას ამ განსაცდელისგან“,** – აღნიშნა პატრიარქმა.

პატრიარქის თქმით, მოხარულია, რომ სამების საკათედრო ტაძარში წირვას დაესწრო საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მან პრემიერს მადლობა გადაუხადა და უფლის მფარველობა უსურვა. **„ჩვენ მოხარული ვართ, რომ წირვას დაესწრო საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მადლობელი ვართ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, მადლი ღვთისა და წყალობა გფარავდეთ თქვენ“.**

სამების საკათედრო ტაძარში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ საქართველოს მიწის ფართობი გადაეცა, სადაც ქართული კულტურის ცენტრი აშენდება.

## მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ ქართული კულტურის ცენტრი აშენდება

**მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ საქართველოს მიწის ფართობი გადაეცა, სადაც ქართული კულტურის ცენტრი აშენდება,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამების საკათედრო ტაძარში განაცხადა. ირაკლი ღარიბაშვილმა მოსახლეობას ნათლისღების დღესასწაული მიულოცა.

**„თქვენს უწმინდესობას, წმინდა სინოდის წევრებს, მოსახლეობას, ყველას გილოცავთ ნათლისღებას. ჩემთვის დიდი პატივია, დღეს ჩვენს მოსახლეობას ვაცნობო ფრიად სასიხარულო ამბავი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს ჩვენ ისტორიული მოვლენის მონაწილენი ვართ. მისი უდიდებულესობის, იორდანიის მეფის, აბდულა მეორისა და მისი უმაღლესობის, პრინც ღაზის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, საქართველოს გადაეცა მიწა მდინარე იორდანესთან, მაცხოვრის ნათლობის ადგილის მიმდებარედ. პატრიარქის კურთხევით, აქ აშენდება ქართული კულტურის ცენტრი.**

**300 წლის შემდეგ საქართველო ბრუნდება წმინდა მიწაზე. ყველა ქართველისთვის სასიხარულოა ეს მოვლენა, რომელიც შესაძლებელი გახდა საერო და სასულიერო ხელისუფალთა ერთიანი ძალისხმევის შედეგად. ფასდაუდებელი იყო ჩვენი პატრიარქის, მისი უწმინდესობის ჩართულობა, მისი დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი. ერისა და ბერის ასეთი ერთიანობა, ყოველთვის არის და იქნება ჩვენი ქვეყნის წინსვლის, განვითარების უმთავრესი წინაპირობა. მადლობას ვუხდი მის უდიდებულესობა მეფე აბდულა მეორეს, მის უმაღლესობა პრინც ღაზის, იერუსალიმის პატრიარქ თეოფილუსს, იორდანიის არქიეპისკოპოს ქრისტოფორუსს, ჩვენი მთავრობის, საელჩოს თითოეულ თანამშრომელს, ჩვენს ელჩს იორდანიაში ზაზა კანდელაკს, ყველას, ვინც ძალისხმევა არ დაიშურა ჩვენს წინაპართა დიდი ტრადიციის გასაგრძელებლად. თითოეულ ქართველ ვულოცავ ამ მნიშვნელოვანი სულიერი და კულტურული ცხოვრების კერის დაარსებას წმინდა მიწაზე. ნათლისღებას გილოცავთ“.**

---

სერგი საჯაია:

## ხუმრობებში ერის წინგასახედი მინიშნებაა,

**ანუ ეროვნულ-სახალხო ამოგმინვა: „ნუ წახვალ, შვილო, ამერიკაში“!..**

2

---

ქვეყნის შიდა მტრების გასაგონად!

## თამარ კიკნაძე:

## სააკაშვილის მთელი პოლიტიკა იყო იდიოტობა!

**დიდი სახელმწიფოები ვითარების ცვლილებასთან ერთად გარიგებებს აწარმოებენ და მთავარია, რომ ამ გარიგების პროცესში ჩვენ ჩვენი ადგილი ვნახოთ...**

3

---

## „დავწვი თქვენი სამართალი“...

5

---

## ზურაბ ქადაგიძე:

## ბიძინა ივანიშვილის შესახებ სტატიის ავტორი ოკუპანტია!

5

# როდესაც სახალხო ხუმრობებში ერის წინგასახედი მინიშნებაა,

## ანუ ეროვნულ-სახალხო ამოგმინვა: „ნუ წახვალ, შვილო, ამერიკაში“!..

**დიდი მოიდა მტრის ჯარი,**
**გარს შემოგვერტყა ღობედა...**
**ვაჟა-ფშაველა**

2021 **წლის** 28 **დეკემბერს** აშშ-ის ელჩი საქართველოში და იმავდროულად, როგორც ჩანს, ლიბერასტული გადამთარეშებლობის რეგიონალური ინსტრუქტორი, ქალბატონი კელი დეგნანი საქართველოს პარლამენტში ინსპექტირების წესითა და თითის ქნევითი ყოფაქცევით დილაუთენია მიიჭრა, რათა თავისივე სახელმწიფოს მიერ აქ, სახელისუფლებო ბერკეტებთან მედღეურად დაყენებული დესანტისთვის მორიგი ინსტრუქტაჟი ჩაეტარებინა: მისთვის შემაშფოთებელი და საგანგაშო აღმოჩნდა ის, რომ ამ უკანასკნელებმა მისდა დაუკითხავად მოისურვილეს სახელმწიფოს ერთი ჩვეულებრივი უწყების რეფორმა. საუბარია სახელმწიფო ინსპექციის გარდაქმნა-გაძლიერებაზე, რაც მისი დღევანდელი მესვეურის — ქალბატონ ლონდა თოლორაიასათვის პოლიტიკური დემარშის საფუძველი გახდა — ამის გასწვრივ იგი ჩვენს ქვეყანაში დისლოცირებული ე.წ. არასამთავრობისა თუ მათი მსგავსი ლეგალური აგენტურისათვის ძირგამომთხრელობის მორიგი საქუდზეკაცო დარაზმულობისთვის საყოველთაო გაწვევის მიზეზად იქცა.

წინა დღით მან, ღრმად პატივცემულმა ელჩმა, საჯაროდ გაკიცხა ხელისუფლების წინამდებარე ძალისხმევა, ის კი არადა, **„პა სტოიკე სმირნა“** ასმენინა თავისი მითითებები სრულიად საქართველოს და დაუფარავად დაუჭირა მხარი ქვეყნის მნგრეველ, ქართველ ერს დაპირისპირებულ საეჭვო დაჯგუფებებს.

ეს კიდევ რაა, როგორც იცით, **„საქართველოს ხელისუფლებამ უკან არ დაიხია“** და მიიღო შესაბამისი კანონი. აქედან გამომდინარე, ქალბატონმა კელი დეგნანმა, 2022 წლის 3 იანვარს, იმგვარი ფეხის ბაკუნით დაუცაცხანა ქვეყნის დღევანდელ ადმინისტრაციას, იმგვარი დაუფარავი გაანჩხლებით უწოდა ამ კანონს სახელმწიფოს გამნადგურებელი და დემოკრატიის დამსამარებელი, მეტიც ლიბერასტული „თავისუფლების“ შემფერხებელი, რომ გეგონებოდა, საქართველოს ცისქვეშეთში თემურლენგის ურდოებმა მიზნობრივად გადიგრიგალეს შობა-ახალწლის ჩასაშხამებლად.

მეტიც, აშშ-ის ელჩის ნიღაბს ამოფარებული ამ თვითმხილებული ოკუპანტის **„შეშფოთებამ“** გამახსენა თავის დროზე კრემლიდან სკკპ ცკ-ის 1956 წლის 10 ივნისის მრისხანე დადგენილება „Об ошибках в работе ЦК КП Грузий“, რომელიც იმასაც კი ითვალისწინებდა, ქართველი ერი ციმბირში გადაესახლებინათ.

ცხადია, ისიც გეხსომებათ, რომ იმავე სკკპ ცკ-მ ცოტა ხანში ისევ გადაგვეჩექმა 1972 წლის 6 მარტის დადგენილება **„სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“**.

გასაგებია, რომ კრემლიდანური დადგენილებები საქართველოსადმი ველიკოდერჟავნიკობის უმრისხანესი თითის ქნევები გახლდათ, მაგრამ კრემლს ეყო თავშეკავება, იგი საბჭოთა კავშირის მართვის უმაღლეს ორგანოში მიეღო და ფარისევლურ „კეთილმოსურნეობით“ შეენიღბა.

ქალბატონ კელი დეგნანის მიერ გახმოვანებულმა ახალმა ოკუპანტმა ეს საჭიროდ არ ჩათვალა: მან თავის ცუდად გამოძინებულ ელჩს საქართველოსთვის დილაუთენია ათასფეხება ანათემა და გადაშენება.

არადა, დიდი მიხვედრა არ უნდა სჭირდებოდეს იმის გასიგრძეგანებას, რომ ქალბატონი კელის ტონში გაჟღერებულია დამპყრობლის უბოდიშო მითითებები, რომელთაც, დამკვეთის სურვილის შესაბამისად, ღვთისმშობლის წილხვედრილობაში აშშს-ის ნალამოჭედილი ბათინკებით უნდა გაიგამზირონ.

ხმამაღლა უნდა ვთქვათ, — კი, ბატონო, კელი დეგნანს აქვს ე.წ. შეშფოთებები და მოითხოვს სიტყვაშეუბრუნებლად დაუგდოს ყური მის თავხედურ თითის ქნევას ქართველმა ერმა, მაგრამ აქედან გამომდინარე, გაცილებით გასაგები და, რაც მთავარია, სამართლიანი აღშფოთებები უჩნდება საქართველოს მოსახლეობას, რასაც ღრმად პატივცემულმა კელი დეგნანმა, თუ ის მართლაა ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე, ვალდებულია გულდადებით, ჩაუსაფრებლად და პატივისცემით დაუგდოს ყური. სხვა შემთხვევაში, პოლიტიკური და საორგანიზაციო დასკვნები, რომლებსაც იგი ანხორციელებს საქართველოში, **შეიძლება იყოს კი არა, დიახაც არის და უნდა განიხილებოდეს ტერორისტულ აქტად ქართველი ერის ვინაობის წინააღმდეგ.**

**ახლა თქვენ შეადარეთ, როდის უფრო ვიყავით დაპყრობილი და ამჟამად ვისი აღვირით მივშლიგინებთ უეჭველი აღგვისაკენ.**

ცხადია, მე გესაუბრებით იმ ადამიანზე, რომელმაც 2021 წლის 5 ივლისის შემგინებლური მოძრაობის **არდამშვებებს მოძალადე უწოდა, ღიად დაუდგა გვერდით ლიბერასტელ გამრყვნელებს და მისი მითითებით დაპატიმრებული საქართველოს ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენელთა „სასამართლოც“ მისმიერი „უხილავი“ მესაჭეობით იმართება.**

მიზნობრივად გამოინკუბატორებულ საზოგადოებაში, სადაც სამშობლოსა თუ სარწმუნოებისადმი, ან კიდევ მოყვასისადმი თავდადება და თავგანწირვა განიხილება **„ადამიანის უფლებათა შელახვად“,** თანაც ამის გასწვრივ დივერსიული ეთნოფაბრიკაციების აღმგველობა იფუთება ისეთ პოლიტიკურ პაროლებში, როგორიცაა **„ევროკავშირი“, „სტრატეგიული მოკავშირე“, „ვენეციის კომისია“, „სახალხო დამცველი“, „დემოკრატია“ და ა.შ.** ეს ყველაფერი გახლავთ მიზანმიმართული გადამთარეშობლობა სვლაგეზით **„დემოკრატიული“ გადაგვარებით - „ცივილიზებული გადაშენებისაკენ“...**

ასეთი „საადამიანო“ ტერმინებით თავსმოხვეული და შენიღბული თავზარი ძალიან ჰგავს იმ მოსამართლის მიერ კორექტულობისკენ მოწოდებას, ყმაწვილკაცობისას ერთ ხუმრობაში რომ მომისმენია თელავის რვაასწლოვანი ჭადრის ქვეშ: **მიხო ჩვენებას აძლევს სასამართლოს, „— ეგრე იყო, ბატონო მოსამართლე. შილდიდანა მოვდიოდი, გავიხედე, წყარო თავზე, დიდყურაანთ თედუასა წამაექცია ჩემი ცოლი და ტ....და!..“**

**მოსამართლემ შეაწყვეტინა, — „კულტურულად თქვი, სქესობრივად უკავშირდებოდაო...“ სიმწრის ოფლში გახვეთქულმა მიხომ ამოიგმინა: „შორიდანა მეც კულტურულად და სქესობრივად მეგონა, მაგრამ ახლოი რომ მივედი, მართლა ტ....დაო!“**

მსოფლიოს გამნჩინებელი ჩვენც ასე გვექცევა: ის, რაც ჩვენთან დემოკრატიად, ადამიანის უფლების დაცვად, პროგრესად და თავისუფლებად იწოდება, თან ასე დაძალებით გვაჩეჩებენ, სხვა არაფერია, თუ არა გამწარებული მიხოს ზუსტი შესატყვისი თავისი ღირსების გაბახებაზე.

ამგვარ განუკითხაობაში ქალბატონ კელი დეგნანის უბოდიშო გამოხდომათა საპირწონე ისევ მიხოს სიბრძნეში და წინგახედულებაშია დასაძებნი: **ზის მიხო კუნძთან და ალესილი ცულით სარებს აწვეტიანებს. ამ დროს გამოიარა ორმა ახალგაზრდამ, — ვივარაუდოთ, რომ მეოცე საუკუნის გიგა მაქარაშვილებმა და ერთ-ერთი ეუბნება პაპის ტოლას, — ძია, გაღმა უბანში ქორწილში მივდივართ და ეგ ულვაშები მათხოვეო...**

**— შენ ვერა, შვილო, მაგრამ აი, შენს მეგობარს ვათხოვებო.**

**— მე რატომ არაო? — აღშფოთდა მეოცე საუკუნის გიგა მაქარაშვილი.**

**— იმიტომ რომ დედაშენისას მიირთმევ და ულვაშები დამესვრებაო...**

ეეე, ჩემო ქართველებო, მიზნობრივი მილევადობისგან თავდასაღწევად როგორ გვჭირდება ახლა ძია მიხოსოდენი გამჭრიახობა, წინგახედულობა და თადარიგი, რათა ამ არამკითხეთა **„კეთილმოსურნეობითა“** თუ **„სტრატეგიული მოკავშირეობით“** გადაჩექმილ საქართველოში ნეხვად არ მივყარ-მოვყაროთ ერის ღირსება!..

...დაბოლოს, აქვე მახსენდება **მეოცე საუკუნის ცნობილი მწერალი ნინო ნაკაშიძე,**— დღეს საეჭვო ხელგამოღებით მივიწყებული: მას აქვს მაღალმხატვრული პიესა **„ვინ არის დამნაშავე?!.“** — რომელიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს არაერთ თეატრში წარმატებით დაიდგა. მისი მიხედვით რეჟისორმა ალ.წუწუნავამ კინოფილმიც კი გადაიღო (1966 წელს იგი ქ.სოხუმის მასწავლებელთა სახლის დრამატულ კოლექტივში წარმოადგინა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლეო ჭედიამ. მე და ქალბატონ ლამარა კვარაცხელიას, იმხანად სტუდენტებს, მთავარი როლების განსახიერების პატივი გვხვდა).

თითქოს დღევანდელ საქართველოს ასურათხატებს ეს ნაწარმოები: ორიოდე კაპიკისთვის სამშობლოდან უნდა გადაიხვეწო წლობით, აიყარო, ცოლშვილს მოსწყდე, ფეხზე რომ დადგე, ამერიკაში უნდა გადაცხრამთასიქითდე ქართველი კაცი...

ხედავს რა ამ უნებურ და დამღუპველ, დამანგრეველ ხვედრს, ამ ჭერქვეშეთში მთავარი გმირის ბაბუა, მახვშისდარი კაცი, განწირულის ხავსჩაჭიდებით ეხვეწება შვილიშვილს, **„— ნუ წახვალ, შვილო, ამერიკაში“....**

ამ როლს შემაძრწუნებელი ტრაგიზმით თამაშობდა აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი, 1903 წელს ქ.სოხუმში წმინდა ილია მართლის ერთ-ერთი მასპინძელთაგანის შვილიშვილი, დიდებული ხელოვანი და ქალაქის სახე — პროკლე თურქია. დღემდე გულგამსერავად დამივლის სულში მისი საწინათგრძნობო ამობღავლება, **„— ნუ წახვალ, შვილო, ამერიკაში!..“**

აქ რომელიმე ლიბერასტი და ძიქვაჩახდილი გიგა მაქარაშვილი შეჩერდება და ახლად მისირღინებულ კატასავით ამოიკნავლებს, **— შე, რუსეთუმეო!..**

**წადი შენი...** როდესაც მე რუსისტულ ველიკოდერჟავნიკობას (და არა რუსულ სახალხო სულიერებას) **„კოლხური კოშკის“** სწავლებათა შესაბამისად ვეპირწონებოდი, მაშინ მამაშენი ღამის ქოთნამდე დედამისის ხელჩაუკიდებლად ვერ მიდიოდა. აი, ესაა მოცემულობა და მკაფიო სიცხადე.

**მინაწერი:** მე, სამშობლოსათვის ნაღვაწი კაცი, ვეკითხები საკუთარ ცხვირს იქით ვერგამხედვარე თაობას, ნუთუ ასე შეუძლებელია დაინახოთ ჭაობური „დემოკრატიის“ პოლიტიკური აბრის ქვეშ დასაწყობებული, დედანი შინაარსისგან დაცლილი ქართველი ერი საეთნოდივერსიო ნედლეულად რომ მოიაზრება?!.



... და მე, დროის სიავისაგან ნაცემი, მაგრამ ვერ გალახული, დაუზავებლად ვუჭექაქუხილებ თავსმოხვეულ წინგაუხედაობას: **ნუ წახვალ, შვილო, ამერიკაში!..**

**სერგი (გიორგი) საჯაია**

**გიორგი შარვაშიძის, ნიკო ნიკოლაძისა და ზვიად გამსახურდიას პრემიების ლაურეატი, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი, 1992-93 წლების სამამულო ომის ვეტერანი.**

**პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი თამარ კიკნაძე ამბობს, რომ აშშ არასოდეს პირდაპირ არ გაილაშქრებს რუსეთის წინააღმდეგ და ამის ძალიან კარგი მაგალითი იყო საქართველო და 2008 წლის აგვისტოს ომი. მისი აზრით, ბაიდენსა და პუტინს შორის შედგა გარკვეული ტიპის შეთანხმება, – ამერიკა არ ჩაერევა პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესებში და ამით ხსნის აშშ-ის პასიურობას ყაზახეთში. ამის მიუხედავად, რიტორიკა რჩება იგივე – უკრაინა და საქართველო შეიძლება გახდნენ ნატოს წევრები...**

# თამარ კიკნაძე:

# სააკაშვილის მთელი პოლიტიკა იყო იდიოტობა!

## დიდი სახელმწიფოები ვითარების ცვლილებასთან ერთად გარიგებებს აწარმოებენ და მთავარია, რომ ამ გარიგების პროცესში ჩვენ ჩვენი ადგილი ვნახოთ...

**– ქალბატონო თამარ! – მოვლენები მეტად საგულისყუროდ ვითარდება ყაზახეთში, სადაც რუსეთმა სრულად აიღო კონტროლი. მოვლენების ქრონოლოგია ადასტურებს, რომ ყაზახეთში მოვლენების ამგვარად განვითარება რუსეთის მიერ წინასწარ იყო ორგანიზებული, რომელიც სამშვიდო ძალების ყაზახეთში შეყვანით უნდა დასრულებულიყო. ყაზახეთში მიმდინარე მოვლენებს დასავლეთიდან არ ჰქონდა შესაბამისი მხარდაჭერა, როგორც ყოველთვის, ბოლო მომენტში დასავლეთი უკან იხევს, რატომ?**

– მთავარია, პოლიტიკა შედეგით განვსაზღვროთ. შედეგი ის არის, რომ ყაზახეთში რუსეთის კონტროლი გაძლიერდა. ნაზარბაევი და მისი კლანი ჩამოშორდა მმართველობას. ყაზახეთში მიმდინარე პროცესები არც ისე უმტკივნეულო იყო რუსეთისთვის. თუ თვალს მივადევნებთ, ძლიერი იყო ჩინეთის გავლენა, ისევე როგორც თურქეთის, რომელიც თურქულენოვანი სახელმწიფოების თავის ორბიტაზე მოქცევას ცდილობდა და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთს არენდაში აქვს 11 მილიონი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. ასე რომ, ეს ქვეყანა არ არის ისეთი უმნიშვნელო. რამდენიმე ხნის წინ ალფავიტიც კი შეცვალეს, რუსული ალფავიტიდან გადავიდნენ ლათინურზე. ესეც რუსული ორბიტიდან განრიდებას ნიშნავდა.

**– ამის მიუხედავად, პროცესები რუსეთის სასარგებლოდ განვითარდა. თავისთავად საინტერესოა, როდესაც უკრაინაში ბოლომდე არ აქვს პოზიციები გამყარებული, საომარ მოქმედებაშია საქართველოსთან, კავკასიის რეგიონში არ აქვს მყარი პოზიცია, რუსეთმა სამიზნედ რატომ აიღო ყაზახეთი?**

– რუსეთმა ძალიან კარგად განახორციელა თავისი გეგმა ყაზახეთში. ამ გეგმის შედეგიც სახეზეა. მოვლენები ტოკაევის და რუსეთის სასარგებლოდ დასრულდა. ტოკაევი გახდა რეალური პრეზიდენტი. აქამდე ყველა ამბობდა, რომ მმართველობითი სადავეები ძველ პრეზიდენტს ეკავა, მაგრამ ტოკაევმა ჩამოართვა გავლენა და გარდა ამისა, გაძლიერდა რუსეთის გავლენა. მაინც მგონია, რომ ამ ყველაფერს წინ უსწრებდა ბაიდენის და ჩინეთის მმართველის კომუნიკაცია. იცით, რომ ინდოეთში შედგა რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტი. შემდეგ იყო ბაიდენის და პუტინის კომუნიკაცია. ვფიქრობ, რომ ამ შეხვედრებზე შედგა გარკვეული შეთანხმება.

**– როგორ ფიქრობთ, რა შეთანხმებაზე შეიძლება ყოფილიყო საუბარი, უკრაინის ნაწილში რუსეთი რიტორიკას არ ცვლის!..**

– ჩემი აზრით, ამ შეთანხმების შედეგად პოსტსაბჭოთა სივრცე რუსეთის გავლენის ქვეშ იქნება. გეთანხმებით, რომ უკრაინის ნაწილში რიტორიკა არ იცვლება, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ ამერიკა ეს არის სხვადასხვა პოლიტიკური ძალების კლასტერი. მიუხედავად ამ რიტორიკისა, რომ მაგალითად საქართველო და უკრაინა ნატოში უნდა გაწევრიანდეს, ეს არ მოხდება. ვფიქრობ, რომ პროსტსაბჭოთა სივრცეზე აღდგება რუსეთის გავლენის სფეროები, ის ისევ დომინანტი ხდება.

**– როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენებს ისევ რუსეთი იბრუნებს? ამის მიზეზი არის ამერიკის ახალი ადმინისტრაცია?**

– ჩვენ არაერთხელ გვილაპარაკია ამ ყველაფერზე. მე, როგორც სპეციალისტს, ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ის, რა თამაშებიც მიმდინარეობდა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ეს იყო გეოპოლიტიკური კოდის წინააღმდეგ მიმართული და არ შეიძლებოდა კარგად დამთავრებულიყო. ჩვენ ამის მომსწრეები ვართ. იმიტომ რომ, რუსეთი საკმაოდ დიდი ქვეყანაა და მისი არგათვალისწინება არ შეიძლება. ასევე კარგად უნდა ვიცოდეთ მისი ისტორია, რომ გგონია, ვერაფერს ვერ შეძლებს, ზუსტად ამ დროს მოიქნევს კუდს. ყოველთვის ვამბობდი, რომ სააკაშვილის პოლიტიკა ყოველთვის მცდარი იყო, იმიტომ რომ ამ კუდის მოქნევაში ყოველთვის ჩვენ ვხვდებით დაზარალებული.

გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამერიკის ჰეგემონიის ციკლი არის დაღმავალი. ამას თვითონ ამერიკელებიც გრძნობენ. პრეზიდენტ ტრამპს მთელი 4 წელი აკრიტიკებდნენ რუსეთთან ურთიერთობისა და ეკონომიკური პოლიტიკის გამო, მოვიდა ბაიდენი და შეეცადა. შეეცვალა ტრამპის პოლიტიკა, მაგრამ იძულებული იყო, დაბრუნებოდა ტრამპის მიერ შემოთავაზებულ დიპლომატიას, იმიტომ რომ სხვა გამოსავალი დღეს ამერიკას არ აქვს. ეს არის მისი ჰეგემონიის დაღმავალი ციკლი და იძულებულია, ანგარიში გაუწიოს იმ ვითარებას, რაც დღეს მსოფლიოშია.

**– ამერიკის ჰეგემონიის დაღმავალი პროცესით შეიძლება ავხსნათ პასიურობა ყაზახეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით?**

– აშშ, ეს ატომური ქვეყანა არასოდეს პირდაპირ არ გაილაშქრებს რუსეთის წინააღმდეგ და ამის ძალიან კარგი მაგალითი იყო საქართველო, 2008 წლის აგვისტოს ომი. იგივე ყირიმის დაკავება რუსეთის მიერ. ვთვლი, რომ აქ გარკვეული ტიპის შეთანხმება იყო და სწორედ ამით არის განპირობებული, რომ ყაზახეთში მიმდინარე მოვლენებში ასეთი პოზიცია დაიჭირა აშშ-მა და მეორე, შეიძლება უბრალოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესებში არ ერევა. თუმცა რიტორიკა რჩება იგივე, რომ უკრაინა და საქართველო შეიძლება გახდნენ ნატოს წევრები.

**– ერთია რიტორიკა და მეორეა რეალური ნაბიჯები. ამ ფონზე, როდესაც პოსტსაბჭოთა სივრცეზე დომინანტი ისევ რუსეთი ხდება, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს ნატოში გაწევრებას?**

– ეს არარეალურია და ამ რიტორიკის ფონზე მეშინია, საქართველოში და უკრაინაში არ განვითარდეს რუსების მორიგი აგრესიული ქმედება. ძალიან გასაგებად თქვა პუტინმა – რუსეთი არ დაუშვებს საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრებას. თუ ამ მხირივ რაღაცა მოძრაობები იქნება, რუსეთი უფრო რადიკალურად იმოქმედებს და, რა თქმა უნდა, ეს საქართველოსთვის კარგი არ იქნება.

**– რეგიონში მიმდინარე მოვლენის ფონზე, დადგა დრო, რომ ღიად დაისვას საკითხი – რა პერსპექტივა აქვს საქართველოს ნატოში გაწევრების, რას ვიღებთ ამ გაწევრებით და ნატოში მიღება არის პირდაპირი გზა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით? აქამდე მოვედით მხოლოდ დაპირებებით, რომ გავხდებით ნატოს წევრი, მაგრამ დღემდე ისევ დაპირების პროცესში ვართ და ეს არის რეალობა...**

– გეთანხმებით, ეს არის ჩვენი რეალობა. თქვენ იცით, რომ ამის შესახებ ძალიან დიდი ხანია, ვლაპარაკობ. დღეს არარეალურია საქართველოს ნატოში გაწევრება. 90-იან წლებში, როდესაც რუსეთი დასუსტებული იყო, მაშინ შეიძლებოდა გაწევრება. დღეს ნატოში გაწევრების დაჩქარება საქართველოსთვის ძალიან ცუდ შედეგებს გამოიღებს. დღეს ვითარება რადიკალურად იცვლება. სამწუხაროდ, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, მსოფლიო წესრიგს დიდი სახელმწიფოები წყვეტენ. ჩვენ აშშ-ის სატელიტად მოვიაზრებოდით, მაგრამ დრო იცვლება. დიდი სახელმწიფოები ვითარების ცვლილებასთან ერთად გარიგებებს აწარმოებენ და მთავარია, რომ ამ გარიგების პროცესში ჩვენ ჩვენი ადგილი ვნახოთ და ჩვენთვის სასარგებლო პოზიცია დავიჭიროთ.

**– როდესაც რუსეთი ფეხს იდგამს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მას აქტიური პოზიციები აქვს უკრაინაში; ვხედავთ თუ რა ვითარებაა აფხაზეთში; აბაშიძის ფორმატი, ისევე როგორც ჟენევისა, არ აღმოჩნდა შედეგზე ორიენტირებული. კონფლიქტის დარეგულირების გასაღები რუსეთის ხელშია, რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კვალდაკვალ, არ დადგა დრო, რომ დავიწყოთ ამ გასაღების მორგების პროცესი, გადაიხედოს ქართულ-რუსული ურთიერთობა და დაიწყოს მოლაპარაკების პროცესი, ეს იქნება პირდაპირი დიალოგი, თუ სახალხო დიპლომატია?**

– როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი, შემიძლია ვთქვა, რომ სხვა გზა ამ პრობლემის გადაწყვეტისა არ არსებობს. ტერიტორიებს ომის საშუალებით ვერ დავიბრუნებთ. ყოველთვის ვამბობდი, რომ საჭიროა რუსეთთან ურთიერთობები, ეკონომიკურადაც ძალიან აქტიურია რუსეთი და ყველაზე დიდი გზავნილები შემოდის რუსეთიდან. მინიმუმ მილიონი ქართველი ცხოვრობს რუსეთში. არსებული ვითარება მოითხოვს, რომ დაელაპარაკო რუსეთს, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ საქართველოს საქმე ყოფილიყო ძალიან ცუდად. მას მიზნად არ ჰქონდა საქართველოს ინტერესების განხორციელება. მისი მთავარი დატვირთვა იყო, რომ საქართველოს რუსეთისთვის შეექმნა პრობლემები.

საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და ამ პრობლემების ორგანიზებით თვითონ დაზარალდა და თან, ძალიან სერიოზულად. ეს ხომ ჩვეულებრივი ტექნოლოგიური სვლები იყო, როდესაც რუსებს აგინებდნენ, ამ დროს ყველა მათ ინტერესებს ახორციელებდა და ითვალისწინებდა. ამ დროს, დაიწყეს კლიშეების მიწებება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ნორმალური დიალოგის მომხრე იყვნენ, რაც ჩვეულებრივი პროცესია საერთაშორისო ურთიერთობებში. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სააკაშვილმა კი ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ვითარება აქამდე არ მისულიყო.

ამიტომ, რასაკვირველია, დიალოგი უნდა აღსდგეს. რაც დიდი ხანი იქნება ეს ვითარება, მით უარესია საქართველოსთვის. რუსეთი დიდი სახელმწიფოა და ძალიან წარმატებით ახორციელებს თავის აგრესიულ მიზნებს. ამიტომ, საჭიროა ლაპარაკი. ქართველებმა უნდა მოიფიქრონ ის მატრიცა, რომელიც საშუალებას მისცემს, რაც შეიძლება მეტი მოგება ნახონ ამ მატრიციდან. ეს სერიოზული განსჯის, ანალიზის საგანია და ამაზე ლაპარაკი ძალიან დიდი ხნის წინ უნდა დაწყებულიყო. სააკაშვილის გადამკიდე, ძალიან რთულ ვითარებაში ვართ, ფაქტობრივად, სავაჭროც კი აღარ დაგვიტოვა – ყველა სტრატეგიული ობიექტი გადასცა რუსეთს. როდესაც ადამიანები ლაპარაკობდნენ, რომ საჭიროა ამ ყველაფერზე დაფიქრება, ლაპარაკი, ვაჭრობა, ამის საპასუხოდ იღებდნენ პასუხს – შენ პრორუსი ხარ, რუსეთის მიზნების გამტარებელი ხარ და ამ დროს ნაციონალები თავიანთი რიტორიკით, ზუსტად რომ რუსულ პოლიტიკას ახორციელებდნენ.

**– რეგიონში მიდინარე მოვლენები გვკარნახობს დიალოგის აუცილებლობას, მაგრამ რა ფორმატი შეიძლება იყოს წარმოდგენილი? ეს უნდა იყოს პირდაპირი დიალოგი, სახალხო დიპლომატია, ხალთა შორის ურთიერთობა, თუ იგივე ეკლესიის ჩართულობა?**

– ყველა იმ პროცესით, რაც განვითარდა, უპირველესად დაზარალებული არის საქართველოს მოსახლეობა. დღეს, ალბათ, უმაღლეს დონეზე მზად არ არიან შეხვედრისთვის. უმაღლეს დონეზე შეხვედრას წინ უნდა უსწრებდეს მოსამზადებელი სამუშაოები და ამ ურთიერთობებში საქართველოს ეკლესია ყოველთვის დადებით როლს ასრულებდა, გაიხსენეთ 2008 წლის ომი, მათ შორის გატაცებული საქართველოს მოქალაქეების დაბრუნება და ა.შ. ჩემი აზრით, ჩვენ ყველანაირი საშუალება უნდა გამოვიყენოთ, მათ შორის სახალხო დიპლომატიაც.

იხ. 4 გვ.

# ვახტანგ ძაბირაძე: თუ სააკაშვილი „გამოსვლებს“ ასე და ამ სტილით გააგრძელებს, იმ ელექტორატს, რომელსაც აკონტროლებს, დაკარგავს!

**როგორ შეიძლება ქვეყანაში ახალი წლიდან არსებული პოლიტიკური ვითარება შეიცვალოს და რას მიიღებს „ნაციონალური მოძრაობა“ პარტიაში საკადრო გადაადგილებებით? შეძლებს თუ არა მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ციხიდან დახსნას, თუ ხელისუფლებაც და ოპოზიციაც მის პატიმრობას შეეგუა? ამ და სხვა საშინაო პოლიტიკურ თემებზე დღეს ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე გვესაუბრება.**

**– „ნაციონალურ მოძრაობაში“ ახალი წლის შემდეგ დიდი საკადრო გადაადგილებებია. როგორც ჩანს, ენმ-ში რადიკალური ფრთა უფრო ძლიერდება, როგორ ფიქრობთ, რას მისცემს ეს პარტიას და პირიქით, რადიკალიზმი მას კიდევ უფრო ხომ არ დაუზიანებს?**

– ეს გადაადგილებები, რაც ახლა ჩვენ ვიხილეთ და რა განცხადებებიც მიხეილ სააკაშვილმა რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით გააკეთა, მიანიშნებს იმას, რომ ქუჩის აქციები ამ პარტიისთვის ისევ პრიორიტეტული იქნება. როგორც ჩანს, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პარტია ფინანსურად ამისთვის კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს და პოლიტსაბჭოს თავმჯდომარედ **კობა ნაყოფია** სწორედ ამ კუთხით შეირჩა, ხოლო რადიკალური ფრთის უფრო გასაძლიერებლად **პეტრე ცისკარიშვილი**. თუმცა აქ მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს რადიკალიზმი ამდენი ხნის განმავლობაში უკვე მოსინჯული იყო. ამიტომ, საკადრო ცვლილებები, თუ ის პარტიის სტრატეგიასა და ტაქტიკასთან დაკავშირებით თვისობრივ ცვლილებებს არ იწვევს, ბევრს ვერაფერს მოიტანს. შესაძლოა, უკეთესი მენეჯმენტი მოგვცეს, ვიდრე იყო, მაგრამ რადიკალიზმს საზოგადოებაში მხარდაჭერა არ აქვს. რამდენი ფულიც არ უნდა ხარჯონ ან ცვლილებები განახორციელონ, აზრი არ ექნება. ენმ მთელი ოპოზიციის შემაკავშირებელი ძალა ვერ ხდება, ამიტომ რა გადაადგილებებიც არ უნდა მოხდეს, ეს შედეგს ვერ მოიტანს.

**– ალბათ ამ ფონზე მესამე პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბედი ძალიან საინტერესოა. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი ციხეში ჩარჩა? მისი გათავისუფლების გეგმამ, რომელიც ენმ-ს და თავად სააკაშვილს ჰქონდა, არ გაამართლა? ხელისუფლებაც დიდად ამ ფაქტით აღელვებული აღარ ჩანს.**

– ჩემდა გასაოცრად, მიხეილ სააკაშვილს სასამართლოზე ძალიან უცნაური და ყურადსაღები გამოსვლა ჰქონდა. მისი ყველაზე სუსტი და ცუდი გამოსვლა იყო. ეს იყო კატასტროფა, სადაც სააკაშვილი, რეალობას და საღ აზრს აცდენილი იყო. ძაღლებთან და სხვა თემებთან დაკავშირებით საკმაოდ მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. თუ ის გამოსვლებს ასე და ამ სტილით გააგრძელებს, ელექტორატს, რომელსაც აკონტროლებს, დაკარგავს. დღეს „ქართულ ოცნებას“ კარტბლანში აქვს, მოსწონს ეს თუ არა ვინმეს. „ოცნება“ პოლიტიკურ დღის წესრიგს ისე ადგენს, როგორც უნდა და გადაწყვეტილებებსაც ისე იღებს, ამაში შემწინააღმდეგებელი კაციშვილი არ არის.

რა თქმა უნდა, „ოცნებას“ დღეს პრობლემა არ აქვს, სააკაშვილი ციხეში იჯდეს. ის ამ ეტაპზე არანაირ ნაბიჯს არ გადადგამს, რომ სააკაშვილი ციხიდან გამოუშვას. ამიტომ ექსპრეზიდენტის სურვილი და მოლოდინი, რომ ციხიდან მალე გამოვა, ფუჭია. დღეს საზოგადოებაში არანაირი განწყობა არ არის იმისთვის, რომ ქუჩაში 200 000 კაცი გამოვიდეს. თუ ვინმეს გამოსვლა უნდოდა, აქამდე გამოვიდოდა. ამიტომ პარტიაში რაღაცა საკადრო გადაადგილებებით სააკაშვილი ხალხის ქუჩაში გამოყვანას ვერ შეძლებს. ამიტომ ხელისუფლებას პრობლემები არ ექნება. ოპოზიცია ასე თუ გააგრძელებს, არათუ რიგგარეშე არჩევნები, არამედ იმ არჩევნებსაც კი წააგებს, რომელიც 3 წლის შემდეგ უნდა გაიმართოს. ამიტომ მთლიანად ოპოზიციასაც გადაჯგუფება სჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ცუდი სიტუაცია იქნება.

**– თქვენ სააკაშვილის გამოსვლა ახსენეთ და ასევე მინდა ნიკა გვარამიას განცხადებაზე გკითხოთ, სადაც ის ამბობს, რომ ეწ. მიშისტები, რომლებიც რადიკალური განცხადებებით გამოირჩევიან, თავად სააკაშვილს ვნებენ. რას ნიშნავს ეს განცხადება და მიანიშნებს თუ არა ეს პარტიაში არსებულ დაპირისპირებაზე?**

– არ ვიცი გვარამია ახლა ამაზე რატომ ალაპარაკდა, მაგრამ მისი შეფასება ძალიან სწორია. ასეთი დასკვნის გაკეთება დიდი ხანია ხელისგულზე დევს და თქვენს არაერთ ინტერვიუში ამაზე მისაუბრია. თუმცა რადიკალიზმი თავად ამ პარტიის ელექტორატშიც კი აღარავის მოსწონს. მაშინ ქუჩაში სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით მინიმუმ 50 000 კაცი უნდა გამოდიოდეს. ერთია, როდესაც ადამიანი რომელიღაცა პოლიტიკურ ძალას მხარს უჭერს და მეორეა, რომ ამ ძალის გამარჯვებისთვის ქუჩაში გახვიდე და რევოლუცია გინდოდეს. კი, ბატონო, ენმ-ს ჰყავს მხარდამჭერები, მაგრამ ეს ხალხიც კი არ არის მზად იმისთვის, რომ ქუჩით იბრძოლოს. გვარამიას, როგორც ჩანს, მხედველობაში პარტიული აქტივი ჰყავდა, რომელსაც მინიმუმ ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, იმის გააზრება უჭირს, რომ ელექტორატს რადიკალიზმი არ უნდა. თუ სააკაშვილი იგივე გამოსვლებს გააგრძელებს, რაც ბოლო სასამართლო სხდომაზე ჰქონდა, ის ნელ-ნელა ამ ელექტორატსაც დაკარგავს.

**– პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ინსპექტორის სამსახურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით კანონპროექტს ვეტო არ დაადო. ოპოზიციაში ჩათვალეს, რომ პრეზიდენტი ხელისუფლებასთან და პირადად ივანიშვილთან დაპირისპირებას მოერიდა. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს გადაწყვეტილება ზურაბიშვილს და ოპოზიციას შორის ე.წ. შერიგების პროცესს ხელს ხომ არ შეუშლის?**

– არ ვიცი, სალომე ზურაბიშვილს უშუალოდ კომუნიკაცია ვისთან ჰქონდა, ივანიშვილთან თუ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელთან. თუმცა ფაქტია, ის დაარწმუნეს, რომ ვეტო არ გამოეყენებინა. რა თქმა უნდა, პრეზიდენტმაც აუტკივარი თავი არ აიტკია. მას ხელისუფლება ისედაც დასძლევდა და ოპოზიციას კი გარკვეული სპეკულაციების თემას მისცემდა. არ ვიცი, მე როგორც რიგით ადამიანს, მიმაჩნია, რომ ეს საკმაოდ კარგი პოლიტიკური განაცხადი იქნებოდა, მაგრამ მან ასე არ ჩათვალა. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ეს რაიმე მოლაპარაკებას ჩაშლის ან ხელს შეუშლის, ასე არაა. ეს ზურაბიშვილის მხრიდან მხოლოდ განაცხადი იყო და მას რაიმე კონკრეტული გეგმა არ წარმოუდგენია. ამიტომაც ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო, რომელსაც როგორც ჩანს, საგარეო ფლანგზე გარკვეული დატვირთვა ჰქონდა.

**– მედიაში კვლავ ვრცელდება ჭორები, თითქოს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ჩანაცვლება კუჭავათი ან ტიკარაძით მოხდება. როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდება ახლა „ოცნებას“ ცვლილება და პოლიტიკურად ასეთი გადაწყვეტილება რამდენად მომგებიანი შეიძლება იყოს?**

– თუ „ქართულ ოცნებაში“ გადაწყვეტენ, რომ პრემიერი უნდა შეიცვალოს, არ მგონია ამით პარტიას ან ხელისუფლებას რაიმე ზიანი მიადგეს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ „ოცნების“ ამომრჩევლისთვის მთავრი მაინც ბიძინა ივანიშვილია. ამიტომაც ვინც არ უნდა იყოს პრემიერი, ამით პარტია ამომრჩეველს ვერ დაკარგავს. თუკი ასეთი ცვლილება ივანიშვილს მოუნდება, რატომაც არა, ხელს ამაში ვინ შეუშლის? უბრალოდ, ტიკარაძის პოლიტიკური წონადობა რა იქნება, ესაა საკითხავი. ამ ქალბატონს რეალურად მინისტრად ყოფნის დროს არაფერი გაუკეთებია. სავარაუდოდ, მისი წონა ყოფილი პრემიერის ბახტაძის მსგავსი იქნება. „ოცნებას“ სულ ორი პრემიერი ჰყავდა, რომელსაც გარკვეული წონა ჰქონდა. ეს იყო გიორგი კვირიკაშვილი და გიორგი გახარია. ღარიბაშვილს „ოცნების“ ამომრჩევლის რაღაცა რადიკალურ ფრთაზე წონადობა აქვს, მაგრამ თუკი ასე გადაწყდება და ღარიბაშვილი ისევ გადადგება, ამით არანაირი ზიანი არ მიადგებათ.

ესაუბრა
**ლიკა ბერიკაშვილი**

# სააკაშვილის მთელი პოლიტიკა იყო იდიოტობა!

(მესამე გვერდიდან)

ნახეთ, სადამდე მიგვიყვანა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ – ის ადამიანებიც კი, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების სიმბოლოებად ითვლებოდნენ, ძალიან ცუდი კუთხით წარმოაჩინეს. საერთოდ, როდესაც ქვეყანა თავის მიზნებზე ფიქრობს, ასეთ სიმბოლოებს ყოველთვის ინახავს კრიზისული ვითარების გამოსასწორებლად. მაგრამ სააკაშვილის ამოცანა იყო არავითარი ურთიერთობა არ ჰქონოდა საქართველოს რუსეთთან, რაც შენი გეოპოლიტიკური კოდის წინააღმდეგ გახლდათ მიმართული.

**– თუმცა, თვითონ ინარჩუნებდა რუსეთთან ურთიერთობას და ამას ადასტურებს სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის გადაცემა...**

– თვითონ ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობა, მაგრამ სათავისოდ და საქართველოს სამტროდ. სააკაშვილმა ძალიან ცუდი როლი ითამაშა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. ამიტომ, აუცილებელია მისი უარყოფითი როლის შეფასება მოხდეს. წარმოიდგინეთ, რუსეთთან გაქვს ძალიან დიდი პრობლემები და ამ დროს რუსული ენა ამოიღო სწავლებიდან. ჩვენ ხომ გვახსოვს, რომ სკოლებში რუსულ ენას არ ასწავლიდნენ, არავითარი ინფორმაცია არ უნდა მიგვეღო რუსეთიდან!, ეს მაშინ, როდესაც შენთვის ყველაზე დიდ, პრობლემურ ქვეყანას წარმოადგენს რუსეთი.

**სააკაშვილის მთელი პოლიტიკა იყო იდიოტობა. აწარმოა დესტრუქციული პოლიტიკა, რამაც საქართველოსთვის უარყოფითი შედეგები მოიტანა. ასეთი პოლიტიკა ყოველთვის ცუდად მთავრდება. რუსეთი მეზობელია და ვერავინ ვერ გადგამს ამხელა ქვეყანას ამ გეოგრაფიული სივრციდან. პოლიტიკაში არავის არავინ არ უყვარს, აქ საჭირო პრაგმატული ურთიერთობები. პოლიტიკაში როგორ შეიძლება ვინმეს სიყვარულზე ლაპარაკი!**

თუ შენი ქვეყნის პატრიოტი ხარ, უნდა გამოიყენო იმ მიზნით, რა სიკეთე შეუძლია მოუტანოს შენს ქვეყანას და არა ის, ვის ვინ უყვარს, ან ეჯავრება. მსოფლიოში მიმდინარე ამ ანტირუსულმა პოლიტიკამ წარმატება ვერ ნახა. რამდენი წელია ვამბობ, რომ რუსეთი არის ძალიან დიდი ქვეყანა და წარმოუდგენელია იგი საერთაშორისო პოლიტიკაში არ გაითვალისწინო.

**– ძალიან საინტერესო იყო ერდოღანის განცხადება, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ საქართველო მონაწილეობას მიიღებს 3+3-ის ფორმატში. თურქეთი არ არის მყარი მოთამაშე, ყოველთვის თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს. ბოლო მოვლენებს თუ გადავხედავთ, აშკარაა, რომ ნატოს წევრი თურქეთი ცდილობს რუსეთთან დაახლოებას. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი იქნება საქართველოს ამ ფორმატში მონაწილეობა?**

– წარმოიდგინეთ, რომ რეგიონის 6 ქვეყანა თანხმდება და მათ შორის დიდი მოთამაშეები, უცებ საქართველო უარს ამბობს ამ თამაშზე. როდესაც დიდი ქვეყნები ასეთ გადაწყვეტილებას იღებენ, მათი იგნორირება კარგს არაფერს მოიტანს. ჩემი აზრით, ამ საკითხზე საჭიროა ძალიან სერიოზული ვაჭრობა. შენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ყველაფერში და ყველასთან საჭიროა პოლიტიკური ვაჭრობა. საქართველო ძალიან მნიშვნელოვანი ტრანზიტული და ერთ-ერთი ყველაზე უფრო საკვანძო ქვეყანაა. ვანახოთ, როგორ წავა ეს 5 ქვეყანა. არც ისე მარტივია აზერბაიჯან-ირანის, სომხეთ-აზერბაიჯანის, იგივე თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები, ძალიან საყურადღებო პროცესები ვითარდება და ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა ვადევნოთ თვალი ამ პროცესებს. აქტიურები უნდა ვიყოთ, დაუშვებელია პასიურობა.

**– ყაზახეთში განვითარებული მოვლენები რეალური ანალიზის და მოქმედების საფუძველი უნდა გახდეს საქართველოთვის...**

– რა თქმა უნდა, ჩვენ სათანადო დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ამ ყველაფრიდან, უნდა მივხვდეთ საით მივდივართ. ძალიან დიდი სიფრთხილეა საჭირო. ვთვლი, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ეს ქმედებები, რომელიც გათვლილია დესტრუქციაზე, იგეგმება გარედან. ფაქტია, რომ ეს ქართული პროექტი არ არის. ფაქტია, რომ ქართულ თამაშს არ თამაშობენ. ნებისმიერი დესტრუქცია შეიძლება ძალიან ძვირად დაგვიჯდეს. ამიტომ ძალიან ფრთხილი მოქმედება არის საჭირო და ყოველგვარი დესტრუქცია უნდა იყოს აღმოფხვრილი. ჩვენ გვყავს 30 ვერცხლზე გაყიდული შიდა მეხუთე კოლონა, რომელიც ყველაფერს თავისი კეთილდღეობისთვის აკეთებს, არ უშვებს ურთიერთობის განვითარებას. ამიტომ აუცილებელია დიალოგი, სხვა გადაჭრის გზა არ არსებობს. ყველა სახელმწიფოს, მათ შორის ამერიკას, ევროპას, რუსეთს თავისი მიზნები აქვთ. ამიტომ, შენ შენი მიზნებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედო.

ესაუბრა
**თამთა ძარჩავა**

# „დავნი თქვენი სამართალი“...

## სპეცოპერაცია - მოსამართლეები რიგითი სააკაშვილის და საკუთარი კარიერის გადასარჩენად

**შალვა პაპუაშვილის** შეფასებით, სასამართლოზე შეტევა ტრადიციაა, მაგრამ უფრო დაბალი დონეა ინდივიდუალურად შეტევა მოსამართლის წინააღმდეგ, რაც მიუღებელია, განსაკუთრებით ყოფილი პრეზიდენტის მხრიდან.

**„ადამიანების წინააღმდეგ თუნდაც სიტყვიერი შეტევა გახლავთ დემოკრატიულ პროცესებში გაურკვევლობა და ჩვეულებრივი მოწოდება, რომ ხდებოდეს ადამიანის ღირსების შელახვა ან მისი შეურაცხყოფა. მსგავსი მოწოდებები პოლიტიკოსების თუ საზოგადოებრივად აქტიური პირების მხრიდან შემდეგ ინსპირირებას უკეთებს იმას, რომ მხარდამჭერებმაც ასეთი რეაქცია გამოხატონ, რაც ჩვენი ქვეყნის სამწუხარო გამოწვევაა. ამის შედეგად ხდება ტემპერატურის აწევა საზოგადოებაში და სხვადასხვა აგრესიული გამოვლინება. სასამართლოს წინააღმდეგ შეტევა აბსოლუტურად მიუღებელია. განსაკუთრებით მიუღებელია, როდესაც შეტევა ხდება ინდივიდუალურად, მოსამართლეების წინააღმდეგ“...**

როგორც ცნობილია, თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესზე მიხეილ სააკაშვილმა მოსამართლეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: **„თქვენ ისეთი სასამართლო ხართ, როგორც მე ვარ ასტრონავტი. ეს დროშა, რომელიც თქვენ უკან არის, ჩემი გაკეთებულია; ეგ სკამი, რომელზეც ზიხართ, ჩემი დადგმულია“**, — სააკაშვილმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მოსამართლემ მიმართა, რომ პატივი ეცა სასამართლოსთვის და საუბრის დროს მიემართა მოსამართლისთვის და არა დარბაზში მყოფი პირებისთვის.

* * *

**ვიცე-სპიკერის** გია ვოლსკის განცხადებით, გააფთრებული შეტევა მიმდინარეობს იმ მიმართულებით, რასაც სააკაშვილის გეგმის რეალიზაცია ჰქვია და ამ გეგმაში გაერთიანებულია მოსამართლეთა გარკვეული რაოდენობაც. მისი თქმით, მათი ერთ-ერთი ხელმძღვანელი არის ყოფილი მაღალჩინოსნის შს სამინისტროს თანამშრომლის მეუღლე.

**„მიდის მუდმივი მუშაობა, რომ სასამართლოშიც როგორმე შემოიტანონ ისეთი ტენდენცია, რასაც ჰქვია ამ სისტემის პოლიტიზაცია. „შავი სიების“ შედგენა და ამ სიაში მოსამართლეთა ჩაწერა, რომლებმაც სააკაშვილის გაგებით აწყენინეს „ნაციონალურ მოძრაობას“, არის კიდევ ერთი დამადასტურებელი ამორალურობისა, რომელსაც მოსამართლეთა გარკვეული ჯგუფი მიჰყვება“**, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

* * *

**რადიკალური** ოპოზიციის მხრიდან გრძელდება პოლიტიკურ პროცესებში ისეთი სერიოზული სახელმწიფო ინსტიტუტის ჩათრევა, როგორიც სასამართლო ხელისუფლებაა. ამის შესახებ საუბრობს ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე, რომლის თქმითაც, ბანალური თემა მოიფიქრეს ახლა, რომ რამენაირად მოსამართლეების ამბოხი გაამართლონ. ეს არის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი მოსამართლეების მიმართ, რაც 2021 წელს მიიღო საკანონმდებლო ორგანომ, როდესაც მოსამართლეს ეზღუდებოდა პოლიტიკური განცხადებისა და პოლიტიკური შინაარსის შემცველი წინადადების საჯაროდ გამოხატვა, რაც თავისდაუნებურად მოსამართლის თვითშეზღუდვას გულისხმობს და მოსამართლე უნდა იყოს დეპოლიტიზებული. მისი თქმით, ეს მოიყვანეს მიზეზად და 14 მოსამართლე ცდილობს, ეს გადაწყვეტილება გამოაცხადოს, თითქოს მოსამართლეთა კორპუსის მიმართ ხორციელდება ძალადობა კანონის სახელით.

**„სინამდვილეში გრძელდება პროცესი, რომელსაც ჰქვია მცდელობა, რომ სასამართლო სისტემა პოლიტიზებული გახდეს და სხვადასხვა პოლიტიკურმა ჯგუფმა ეს სათავისოდ გამოიყენოს. სასამართლო სისტემაში დაიწყო „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკის შეტანა, გააქტიურა რა ძველი კავშირები მოსამართლეებთან და დაიგეგმა სპეცოპერაცია რიგითი სააკაშვილის და საკუთარი კარიერის გადასარჩენად. მთავარი შემსრულებელი „ნაცმოძრაობასთან“ და მის ლიდერებთან მეტად დაახლოებული სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე ქეთევან მესხიშვილია, რომლის კანდიდატურა პარლამენტმა არ დაამტკიცა უზენაესი სასამართლოს უვადო მოსამართლედ. ამის შემდეგ გაბრაზებული მესხიშვილი „ნაცმოძრაობის“ სატელიტად იქცა.**

ქეთევან მესხიშვილი

**მისი მეუღლე დავით მესხიშვილი წინა ხელისუფლების დროს წარმოადგენდა ვანო მერაბიშვილის მაღალჩინოსანს შსს-ში, ჯერ იყო საქართველოს ინტერპოლის ცენტრალური ბიუროს უფროსის მოადგილედ 2006-2008 წლებში, ხოლო შემდეგ 2008-2012 წლებში იყო შსს-ს აკადემიის ადმინისტრაციის უფროსი. ამ დროს აკადემიის რექტორი იყო „ნაცმოძრაობის“ ამჟამინდელი ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე. უკვე კრიტიკულ პერიოდში, 2012 წელს დაინიშნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლად, იმის გამო, რომ როგორც შსს-ს სანდო კადრს და გამოცდილ ზონდერს, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის მმართველი პარტიის სასარგებლოდ მოეხდინა ადმინისტრაციული რესურსების მაქსიმალური მობილიზება.**

**ლი და შეთანხმებული სქემაა, ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ, სწორედ ქეთევან მესხიშვილის პირველ საპროტესტო ფეისბუქ-პოსტს მყისიერად, რამდენიმე წუთში ციხიდან გამოეხმაურა პატიმარი სააკაშვილი და მოუწოდა აშშ-ის მთავრობას მოსამართლეებისთვის სანქციების დადებისკენ, რათა გაძლიერებულიყო მეამბოხე მოსამართლეების პოზიციები, რომლებმაც პირველად ხმა ამოიღეს“**, — აცხადებს ქადაგიძე.

მისი თქმით, თავის მხრივ მესხიშვილებს ასევე ახლო ურთიერთობა აკავშირებს ელენე ხოშტარიასთან, თინა ბოკუჩავასთან, გიორგი ბოტკოველთან და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერებთან, ასევე სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიასთან, მის მოადგილესთან გიორგი ბურჯანაძესთან.

**„საინტერესოა, რომ ქეთევან მესხიშვილის მული, მანანა მესხიშვილი ასევე მოსამართლეა თბილისის საქალაქო სასამართლოში. გარდა ამისა, მოსამართლეა აგრეთვე მათი ნათესავი ხათუნა ჯინორია. ცხადია, ეს 2 მოსამართლეც ამ პროტესტს შეუერთდნენ. ანუ რძალ-მულის და მათი ნათესავის კოორდინირებული პროტესტით სასამართლოში ცდილობენ არეულობის შეტანას. თუმცა ნათესავები და ოჯახის წევრები მხოლოდ ესენი არ არიან. დანარჩენზე — მოგვიანებით. რეალურად აქამდე თუ პარლამენტზე და მთავრობაზე მიდიოდა ზეწოლა, ახლა უკვე ცდილობენ, სასამართლოც ჩაითრიონ ამ პოლიტიკურ ქაოსში.**

**საინტერესოა, რომ ამ მოცემულობაში ვითარების ერთ-ერთი კოორდინატორის როლი უკავია ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს გიორგი მშვენიერაძეს და მის მეუღლეს გვანცა წულუკიძეს, რომელიც ამავე ორგანიზაციაში მუშაობს. მშვენიერაძე და ქეთევან მესხიშვილი სრულ კოორდინაციაში არიან და პოლიტიკურ მესიჯებს სწორედ მშვენიერაძე უხმოვანებს ფეისბუქის მეშვეობით. მშვენიერაძე და მისი მეუღლე გვანცა წულუკიძე აჯანყების ტექნიკურ უზრუნველყოფაშია ჩართული. მყისიერად რომელიმე მოსამართლის მიერ საპროტესტო პოსტის დადებისთანავე, მას მიეწოდება და იგი ამ პოსტებს ასახავს და აქვეყნებს თავისსავე ფეისბუქ-გვერდზე რამდენიმე წუთში“**, — ამბობს ზურაბ ქადაგიძე.

* * *

**ადვოკატი**, გელა ნიკოლეიშვილი განმარტავს, რომ სასამართლოში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არ იგრძნობა მოსამართლეებს შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირება და თვლის, რომ პროცესზე ეს არც უნდა იგრძნობოდეს.

**„რაც შეეხება შეტევას სასამართლოზე, ეს არის მცდელობა იმისა, რომ პოლიტიკაში შეათრიონ სამართალი, ან სამართალს მოახვიონ პოლიტიკა. ეს, რა თქმა უნდა, მიუღებელია. მიშას ის დრო ენატრება, როცა ჯიბეში ჰყავდა ჩასმული სასამართლო და პროკურატურა. მე ვერ ვიტყვი, რომ დღეს აბსოლუტურად თავისუფალია სასამართლო ყველანაირი პოლიტიკური გავლენებისგან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ჩვეულებრივ საქმეებზე ეს არ იგრძნობა, შეიძლება იგრძნობოდეს საქმეების 10-5-2 პროცენტზე სადაც არის ხელისუფლების ინტერესი, მაგრამ ის, რომ ტოტალურად როგორც იყო სააკაშვილის დროს, როცა არც სჭირდებოდათ გაფრთხილება, როცა იმათ იცოდნენ, რომ პროკურატურის სიტყვა კანონი უნდა ყოფილიყო. დღეს ასეთი ვითარება არაა. როგორც ჩანს, ეს მდგომარეობა ენატრებათ, ოღონდ თვითონ უნდა იყვნენ პროკურორების როლში და თვითონ უნდა იძლეოდნენ ბრძანებებს. სხვანაირად მათ ვერ წარმოუდგენიათ სასამართლო“**, — აღნიშნა გელა ნიკოლეიშვილმა.

* * *

ა/ო „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანების უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი, ნანა კაკაბაძე ამბობს, რომ სასამართლო სისტემა, რომელიც ხელისუფლების ერთ-ერთი განშტოებაა, სწორედ მის ჩამოშლაზე მუშაობს „ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან დაახლოებული მოსამართლეთა კორპუსი, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ დატოვა სასამართლო სისტემაში.

**„სწორედ ამ ადამიანებს „ნაციონალური მოძრაობა“ იყენებს სახელმწიფოს ჩამოსაშლელად. ამ რეჟიმს სჭირდება გასამართლება, არ სჭირდება შეფასებები და სასამართლო პროცესები, იმიტომ რომ აძლევენ მინიმალურ სასჯელებს, გამოდიან გარეთ და ისევ იწყებენ სახელმწიფოს ნგრევას. ამ ადამიანებს, „ნაციონალური მოძრაობის“ სახეებს და ვისაც ჰქონდა პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმ მოვლენებზე, რაც ქვეყანაში ხდებოდა, უნდა აეკრძალოთ საქართველოში პოლიტიკური საქმიანობა. სხვა შემთხვევაში ამათ აქვთ უზარმაზარი ფული, დაფინანსება და კაცმა არ იცის, რომელი სახელმწიფოდან. ასევე არ ჩამოაშორეს ბიზნესს და შესდით უამრავი ფული, რასაც იყენებენ არა კონკრეტული პარტიის წინააღმდეგ, არამედ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამიტომ, ამისი არგაკეთება არის დანაშაული. რეჟიმი უნდა გასამართლდეს და ჩამოშორდნენ პოლიტიკას მრავალი წლით“**, — აცხადებს ნანა კაკაბაძე.

**თამთა ძარჩავა**

## ზურაბ ქადაგიძე: ბიძინა ივანიშვილის შესახებ სტატიის ავტორი ოკუპანტია!

**ბიძინა ივანიშვილის** შესახებ შეკვეთილი სტატიის ავტორი მოსკოვში მცხოვრები რუსი ჟურნალისტი, ვინმე ივან ნეჩეპურენკოა, ეს კაცი ბევრჯერაა შემჩნეული პროდასავლელი პოლიტიკოსების მიმართ დეზინფორმაციული ინფორმაციის გავრცელებაში, ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მას დარღვეული აქვს კანონი ოკუპაციის შესახებ და პირდაპირ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, — ამის შესახებ ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე სოციალურ ქსელში წერს.

„ორი დღეა, ხბოს აღტყინებით გაჰკივიან ნაცების სამარცხვინო ტელევიზიები, აქაოდა ბიძინა ივანიშვილზე უცხოურ მედიაში კრიტიკული სტატია დაიწერაო. გაჰკივიან, მაგრამ არაფერს ამბობენ სტატიის ავტორზე. ჰოდა რადგან თქვენ სიმართლის თქმა არ გსურთ საზოგადოებისთვის, ახლა მე მომისმინეთ. აი მაგ შეკვეთილი სტატიის ავტორი მოსკოვში მცხოვრები რუსი ჟურნალისტი, ვინმე ივან ნეჩეპურენკოა. ეს კაცი ბევრჯერაა შემჩნეული პროდასავლელი პოლიტიკოსების მიმართ დეზინფორმაციის გავრცელებაში, მაგრამ ამაზე მოგვიანებით. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ მას დარღვეული აქვს კანონი ოკუპაციის შესახებ და პირდაპირ აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას. „ნაცებო“ და „ნაც ტელევიზიებო“, სირცხვილი და სინდისი რომ არ გაქვთ და მუდამ რუსულ საქმეს ემსახურებოდით და ემსახურებით, ეგ ყველამ კარგად იცის, მაგრამ ფორმალურად მაინც შეინარჩუნეთ სახე და სტატია მაინც დაუკვეთეთ ისეთ ადამიანს, ოკუპანტი და ჩვენი ქვეყნის მაძაგებელი რომ არ იყოს!“ — წერს ქადაგიძე Facebook-ზე.

◎ პეკინი-2022

# ბილეთები არ გაიყიდება

**პეკინი-2022-ის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, ჩინეთში COVID-19-ის ლოკალური ახალი აფეთქებების გამო პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრები ბილეთები არ გაიყიდება – მათ მაყურებელთა გარკვეულ ჯგუფებში გადაანაწილებენ.**

სექტემბრის ბოლოს საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) განაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიური და პარალიმპური თამაშების ბილეთები მხოლოდ ჩინეთში მცხოვრები გულშემატკივრებისთვის იქნებოდა ხელმისაწვდომი.

**„იმის გათვალისწინებით, რომ ეპიდემიაზე კონტროლის და პროფილაქტიკის სფეროში შექმნილი მდგომარეობა სერიოზულია, ოლიმპიური თამაშების მონაწილეთა და მაყურებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადაწყდა ბილეთების გაყიდვის თავდაპირველ გეგმაში ცვლილებების შეტანა და მაყურებელთა გარკვეულ ჯგუფზე მათი გადანაწილება,“** – აცხადებს პეკინი-2022-ის საორგანიზაციო კომიტეტი. აღნიშნულია, რომ ისინი, ვისაც ტრიბუნებზე დაუშვებენ, ვალდებულნი იქნებიან მკაცრად დაიცვან ყველა ეპიდსაწინააღმდეგო მოთხოვნა შეჯიბრების დაწყებამდე, მისი მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგ, რათა ასპარეზობათა მშვიდად ჩატარების შესაძლებლობა იყოს უზრუნველყოფილი.

* * *

**ამასობაში 2022 წლის პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამთო მოთხილამურეთა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ქართველმა სპორტსმენებმა – ნინო წიკლაურმა და სოსო ჯაფარიძემ.**

წიკლაურისთვის ეს იქნება მეოთხე ოლიმპიური თამაშები, ჯაფარიძემ კი პირველად აიღო ოლიმპიური ლიცენზია. ზამთრის XXIV ოლიმპიურ თამაშებს ჩინეთის დედაქალაქი პეკინი 4-20 თებერვალს უმასპინძლებს. ნინო წიკლაური 7-9 თებერვალს ისპარეზებს, სოსო ჯაფარიძე – 13-16 თებერვალს.

რამდენიმე დღის წინათ პეკინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა მოციგავე **საბა ქუმარიტაშვილმა.**

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე პეკინი-2022-ის ლიცენზიანტები გახდნენ საქართველოს მოციგურავეები, რომლებიც თამაშებზე ოთხივე დისციპლინაში გამოვლენ (ერთეულთა თანრიგი – ქალები, კაცები; სპორტული წყვილები; სპორტული ცეკვები). გარდა ამისა, მსოფლიო რეიტინგის მიხედვით, საქართველო მოხვდა იმ 10 საუკეთესო ქვეყანას შორის, რომლებიც ფიგურულ სრიალში გუნდური ოლიმპიური მედლებისთვის იბრძოლებენ.

◎ მემორიალი

# ჩემპიონთა XVII გაელვება

**ძართველი ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მემორიალი 20-25 იანვარს გაიმართება. აღნიშნული ტურნირი ტრადიციულია, 2006 წლიდან ტარდება და წელს იგი მე-17-ედ გათამაშდება. მემორიალი დედაქალაქში დაიწყება, სადაც ჯგუფური ეტაპის მატჩები და ნახევარფინალები ჩატარდება, ხოლო ფინალს, ტრადიციულად, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას მშობლიური ქალაქი ქუთაისი უმასპინძლებს.**

წლევანდელ გათამაშებაში მონაწილეობას 12 კლუბი მიიღებს. მემორიალში სუპერლიგის ყველა – 11 გუნდი და ერთიც „ა“ ლიგის წარმომადგენელი – „მგზავრები“ იასპარეზებს. მონაწილეები 4 ჯგუფში სუპერლიგის მიმდინარე შედეგებით გადანაწილდნენ. თითოეული ჯგუფის გამარჯვებული ნახევარფინალში გავა და მემორიალური თასის მოსაგებად ფინალში გასასვლელად იბრძოლებს.

მემორიალის მოქმედი ჩემპიონი „ქუთაისია“, რომელმაც 2021 წლის 24 იანვარს ფინალურ მატჩში „ვერა“ დაამარცხა. მთლიანობაში ქუთაისელებს საკანდელიძისა და ქორქიას მემორიალი ოთხჯერ აქვთ მოგებული.

ჯგუფური ეტაპის მატჩები (20, 21 და 22 იანვარი) და ნახევარფინალები (23 იანვარი) თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გაიმართება. ნახევარფინალის საგზურებს თითოეული ჯგუფის გამარჯვებული მოიპოვებს. ფინალურ მატჩს ქუთაისის სპორტის სასახლე 25 იანვარს 15 საათზე უმასპინძლებს.

◎ ტენდენცია

# შოთა თევზაძეც, საბა აბულაშვილიც

**მსოფლიო რაგბიმ 2022 წლის ექვსი ერის მატჩების სამსაჯოდ კიდევ ორი ქართველი რეფერი მიიწვია. შოთა თევზაძე და საბა აბულაშვილი 20-წლამდელთა ტურნირის ორ-ორ თამაშზე იმუშავებენ – აქედან ერთში, თევზაძე მოედნის მსაჯი იქნება.**

მანამდე, 19 თებერვალს, 27 წლის არბიტრი რაგბი ევროპის „ალაფაზე“ ჰაიდელბერგში გერმანიისა და ბელგიის ჯახს გაუძღვება. ამ გუნდების დაპირისპირება პრინციპულობით გამოირჩევა და სასიამოვნოა, რომ რთული შეხვედრის მსაჯობა ქართველ რეფერის ანდეს. შოთა თევზაძეს ქართველი თანაშემწეები ეყოლებიან, რომელთა ვინაობა უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

მთავარი მოვლენა 10 მარტსაა ჩანიშნული. 20-წლამდელთა ექვსი ერის მეოთხე ტურში უელსი საფრანგეთს უმასპინძლებს და მოედნის მსაჯი შოთა თევზაძე იქნება, საბა აბულაშვილი კი მას კიდიდან დაეხმარება. მეხუთე ტურში, 20 მარტს, ირლანდია შოტლანდიას ეთამაშება და თევზაძე და აბულაშვილი გვერდითი მსაჯები იქნებიან.

საგულისხმოა, რომ მსოფლიო რაგბი 20-წლამდელთა ტურნირებს, მათ შორის ექვს ერს განვითარების ჭრილში უყურებს როგორც მოთამაშეების, ასევე მატჩის ოფიციალური პირების კუთხით. ყველა მსაჯი, რომელიც ამ ტურნირზეა მიწვეული, სამომავლოდ უფრო მაღალ დონეზე მოიაზრება და ქართველი მსაჯებისთვის ესაა შანსი, დაამტკიცონ საკუთარი შესაძლებლობები და განვითარების გზაზე კიდევ უფრო წაიწიონ წინ.

◎ მორალი

## ლიანა ჯოჯუა:

# „...სხეული გაყიდეო“

**MMA-ს ქართველი მებრძოლი ქალი ლიანა ჯოჯუა საყოველთაოდ აღიარებულია, როგორც სპორტის ამ სახეობაში მოღვაწე ასულთაგან ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და სექსუალური ქალი, თუმცა ეს აღიარება თავად სპორტსმენს ხშირ შემთხვევაში ძალიან არ მოსწონს და შეიძლება ითქვას, რომ ხელსაც უშლის.**

ცოტა ხნის წინათ ლიანას დადებული კონტრაქტი ამოეწურა და როგორც თავად სპორტსმენი ამბობს, ეს ამბავი გახდა მისი, როგორც ლამაზი ქალის დაბულინგების მიზეზი. ზოგიერთი მამრი სოციალურ ქსელში წერს, რომ დადგა დრო, როდესაც ლიანამ სპორტს თავი უნდა დაანებოს და საკუთარი ლამაზი სხეული „სათანადოდ“ გამოიყენოს.

**„მას შემდეგ, რაც UFC-სთან კონტრაქტი ამომეწურა, ხალხი სხვადასხვა რაღაცას მწერდა. ფაქტობრივად, მეუბნებოდნენ, რომ სხვა არაფერი გამომივა და სხეული გაყიდეო... წავიკითხე და შოკში ჩავვარდი. როგორი გამწარებული უნდა იყოს ადამიანი რაღაცით, რომ ასეთი საშინელება დაწეროს“,** – განაცხადა ჯოჯუამ.

◎ ვითარება

# შესაძლოა, როლან გაროსზეც...

**მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა, შესაძლოა, როლან გაროსზეც ვერ ითამაშოს, რადგან ტურნირში მონაწილე ჩოგბურთელებს ვაქცინაციის სერთიფიკატი დასჭირდებათ.**

ამის შესახებ საფრანგეთის სპორტის მინისტრმა **როქსანა მარასინიანუმ** განაცხადა: **„ვაქცინაცია საჭირო იქნება ყველასთვის – გულშემატკივრებისთვის, სპორტსმენებისთვის, პროფესიონალებისთვის, არაპროფესიონალებისთვის, ფრანგებისთვის და უცხოელებისთვისაც“,** – თქვა მან.

ამრიგად, დიდი შანსია, რომ სერბმა ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ კიდევ ერთი დიდი სლემის ტურნირი გამოტოვოს.

აქვე გეტყვით, რომ ნოვაკ ჯოკოვიჩს როლან გაროსი კარიერაში ორჯერ – 2016 და 2021 წლებში აქვს მოგებული, მთლიანობაში კი მის ანგარიშზე დიდი სლემის 20 ტიტულია.



◎ დანაკარგი

# ჰენტოც წავიდა

**89 წლის ასაკში გარდაიცვალა მადრიდის „რეალის“ ლეგენდარული ფეხბურთელი ფრანსისკო ჰენტო.**

ესპანელი მადრიდულ კლუბში 1953-71 წლებში თამაშობდა. საერთო ჯამში მან 600 მატჩი ჩაატარა და 182 გოლი გაიტანა.

ჰენტო ერთადერთი ფეხბურთელია ისტორიაში, ვინც ექვსჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. ასევე მადრიდის „რეალში“ ის 12-ჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, ორჯერ მოიგო ესპანეთის თასი, 1960 წელს კი საკონტინენტთაშორისო თასს დაეუფლა.

ჰენტოს „რეალთან“ ერთად 23 ტიტული აქვს მოგებული, რაც საკლუბო რეკორდია, ნაკრებში კი 43 მატჩი ჩაატარა. გასულ კვირას მას ამ მაჩვენებლით ბრაზილიელი მცველი მარსელო დაეწია.

სულთათანა

# სიტყვალონიერი ჟურნალისტი

## ვილენ მარდალეიშვილის არდავიწყება



გულდასაწყვეტი ამბავი შევიტყვეთ — ჟურნალისტთა, მწერალთა, გულმართალ და სამშობლოს მოყვარულ გულქართლ ადამიანთა რიგებს ერთი სასახელო კაცი დააკლდა, აღარ არის **ვილენ მარდალეიშვილი** — დამსახურებული ჟურნალისტი, მწერალი, გამორჩეული თავისი ორიგინალური წერისა და ცხოვრების სტილით, ალალმართლობითა და დარდიმანდობით. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ემსახურა თავისი კალმით არჩეულ, ბევრჯერ დაუფასებელ, მაგრამ მისთვის ღვთითნაბოძები ნიჭით გაცისკროვნებულ საქმეს.

ვილენი მართლაც კოლორიტი იყო ჟურნალისტთა საძმოში. დამწყები ჟურნალისტიდან ღვაწლმოსილ მოკალმემდე ყველა იცნობდა. გამომცემლობა „სამშობლოში“ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მის ოთახში ხშირად იკრიბებოდნენ ისეთი ღირსეული ადამიანები, ვილენის მეგობრები, რომ მათი საუბრის მოსმენა, მართლაც ცხოვრებისეული აკადემია გახლდათ — შოთა ნიშნიანიძე, ზაურ ბოლქვაძე, თენგიზ არჩვაძე, კახი კავსაძე, ზურა ქაფიანიძე, ვაჟა აზარაშვილი და მრავალი სხვა. დანარჩენს თავადვე სტუმრობდა — „რედაქციიდან გაწუხებთ“ — ეს მისი იუმორით შეზავებული საფირმო სიტყვა გახლდათ. სწორედ ამ ბუმბერაზ ადამიანებთან, ქართული მწერლობის კორიფეებთან, გამოჩენილ ხელოვანთა და სპორტსმენთა გულღია საუბრებისა და მოფერების აკინძვაც მოახერხა, წლების მანძილზე გაზეთ „კომუნისტსა“ თუ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული წერილები, ნოველები, სახელდახელო ექსპრომტები, ტექსტები შეკრიბა და შესანიშნავ წიგნად აქცია — „რაცა ვარ, ეგა ვარ!“

მანამდე კი, კომუნისტურ ხანაში გამოცემული წიგნისა და ჟურნალისტური მოღვაწეობისთვის ერთ-ერთ პირველს ჩვენი კოლეგებიდან მიენიჭა სახელმწიფო პრემია, შემდგომ ღირსების ორდენი, მრავალი სიგელი და პრემიები, მაგრამ მისთვის ყველაზე საამაყო იყო თავისი მაღლაკელი ბაბუა ვლადიმერ მარდალეიშვილი, რომელმაც ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, მამა — ვენედიქტე მარდალეიშვილი, რომელმაც სიმართლე, შრომისმოყვარეობა ასწავლა; დიდი კონსტანტინე გამსახურდია, რომელიც „მართალეიშვილს“ ეძახდა, მერაბ კოსტავა, რომელიც „ჩემო მაღლაკელო ძმაო“ — ეფერებოდა. ერთ მოსმენად ღირდა ცნობილი პოეტისა და ჩვენი კოლეგის შოთა ხოდაშნელის, თბილისის კოლორიტის, ცნობილი წამალთმცოდნის სოკრატ სალუქვაძისა და ჩვენი „ვენევიჩის“ (როგორც სიყვარულით ვეძახდით ვილენს) „ვეფხისტყაოსნური“ შეჯიბრებები — უკვდავი პოემის ზეპირად ცოდნა და ნებისმიერი ადგილიდან მისი სტროფების გაგრძელება.

მის ცოდნას, ნიჭსა და მეგობრობას პატივს სცემდნენ არა მარტო თანამშრომლები, კოლეგები და ახლობლები, არამედ ყველა, ვინც მისი გვარსახელი გაზეთიდან იცოდა. ეფერებოდნენ ვერისუბანში, სადაც მისი მოღვაწეობის ათობით წელმა განვლო.

შესანიშნავმა მოქართულემ, ქართული სუფრისა და ტრადიციების ერთგულმა და ცხოვრებაში ლამაზად გამტარებელმა ახალგაზრდობიდანვე ცნობილი თამადების რიგში დაიკავა ადგილი. ამიტომაც იყო ნებისმიერი სტუმრისთვის, მის ოთახში რომ ყოველთვის პატარა სუფრა იშლებოდა. გასაკვირიც არ იყო, რომ თბილისის ცნობილი კოლორიტი, მწერალი და ჟურნალისტი გურამ (კოია) გომართელი, რომელიც თავისი გულისამორჩევითობითა და მეგობრობის მკაცრი კანონების დამცველი წლობით ერთ ოთახში ემსახურებოდნენ თავიანთ საყვარელ საქმესა და ერთმანეთის განუყრელ მეგობრებად ითვლებოდნენ.

ოჯახი მისი საფიცარი ხატი იყო და აფორიაქებული ცხოვრების რიტმის შემდეგ მშვიდი ნავსაყუდარი. „რამდენს მიძლებს წერეთლის ქალიო“ იტყოდა სიცილით თავის მეუღლეზე, ხარობდა თავისი ორი ვაჟითა და შვილიშვილებით, რომლებიც მისი ყველაზე მეტი დამამშვიდებლები და მომფერებლები იყვნენ.

„დამთავრდა მისი ბობოქარი ცხოვრებაო“ — ჩაილაპარაკა ჩვენმა ერთმა კოლეგამ, როდესაც ვილენის გარდაცვალების ამბავი შევიტყვეთ. ეს კი „ნათლისღება დღეს“ იყო.

მშვიდობით ჩვენო საყვარელო, უნიჭიერესო მეგობარო, იქ დიდი ზეციური საქართველო გელოდება, აქ შენი ნიჭის თაყვანისმცემლები ვრჩებით და გემშვიდობებით.

**მეგობრები რედაქციიდან**

**პანაშვიდი 17 საათიდან. დაკრძალვა შაბათს, 22 იანვარს 14 საათზე; მისამართი: გ. ლორთქიფანიძის (ყოფილი ლერმონტოვის) ქ. №15 (სოლოლაკი).**

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

**ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!**

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**
**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**
**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**

სანთელი

# რევაზ ივანეს ძე მაჩხოშვილი

არასამთავრობო კავშირი „ფშავის აღორძინება-განვითარება“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი წევრი, ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **რევაზ ივანეს ძე მაჩხოშვილი**.

რევაზ მაჩხოშვილი დაიბადა 1939 წელს დუშეთის რ-ის სოფ. მიგრიაულში. ქიმიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი (1985), პროფესორი (1988), სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1998). ბარისახოს სკოლა-ინტერნატის დამთავრების (1958) შემდეგ სწავლა გააგრძელა თსუ-ს ქიმიის ფაკულტეტზე (1959), რომელიც 1964 წელს დაასრულა.

1966-68 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტში, ხოლო 1968-87 წლებში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსნაერთთა ქიმიურ ლაბორატორიაში (მოსკოვი), სადაც დაიცვა საკანდიდატო (1970) და სადოქტორო (1985) დისერტაცია. ოცი წელი ხელმძღვანელობდა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმიის კათედრასა და მის მიერვე დაარსებულ ქიმიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას (1987-2007).

მისი უშუალო ხელმძღვანელობით შესრულებული და დაცულია 23 საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 267 სამეცნიერო სტატია, რამდენიმე მონოგრაფია და სახელმძღვანელო.

## ნათია თურნავა: საქართველო გახდება ფინანსური ცენტრი, ფინანსური ჰაბი..

„**სწორედ** აქეთკენ იყო მიმართული პრემიერ-მინისტრის ინიციატივა. მან დავალება ჯერ კიდევ, გასული წლის ბოლოს გასცა. ჩვენ ვიმუშავეთ, დავამუშავეთ სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი და განსაკუთრებით საინტერესოა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში არსებული ორი ფინანსური ზონა — დუბაის ფინანსური ცენტრი და აბუ-დაბის სპეციალური ფინანსური ზონა, საიდანაც ძალიან ბევრი საინტერესო რამ შეიძლება, ჩვენთანაც იყოს გაზიარებული. მაგალითად, თუნდაც, ორიენტაცია უახლეს ციფრულ ტექნოლოგიებზე საფინანსო სექტორში. აი, სწორედ ამ მიმართულებით ვიმუშავებთ“, — აღნიშნა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ. მისივე თქმით, ამ ინიციატივის განხორციელებით, საქართველო რეგიონში ფინანსური მიზიდულობის ცენტრად გარდაიქმნება, რომელიც ახალი ტიპის ბიზნესებისთვის გაიხსნება, რაც ახალ ინვესტიციებსა და სამუშაო ადგილებს ნიშნავს.

## ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი სერტიფიცირებულია

**ქუთაისის** დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტმა აეროდრომის მიმართულებით რესერტიფიცირება წარმატებით გაიარა.

**აეროპორტების გაერთიანების ცნობით, საქართველოში მოქმედი ყველა საერთაშორისო თუ ადგილობრივი აეროპორტებიდან ქუთაისის აეროპორტი არის პირველი, რომელმაც სერტიფიკატი მიიღო. სამოქალაქო ავიაციის სააგენტო აეროპორტებისა და აეროდრომების განახლებული დადგენილების თანახმად, აეროპორტის ექსპლუატანტების სერტიფიცირებას 5 ეტაპად ახორციელებს. ყველა ეტაპი, ქუთაისის აეროპორტის ოპერატორმა კომპანია — საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ წარმატებით გაიარა.**

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის თამარ არჩუაძის განცხადებით, სამივე საერთაშორისო აეროპორტიდან, ქუთაისის აეროპორტი იყო პირველი, რომელმაც სააეროდრომო სახელმძღვანელოები და მასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს სერტიფიცირების წესის შესაბამისობაში მოიყვანა.

## 2021 წელს ექსპორტზე 173 ტონა ქართული თაფლი გავიდა

**2021 წელს სხვადასხვა ბაზარზე 173 ტონა ქართული თაფლი გავიდა, მათ შორის 143 ტონა ევროპის ქვეყნებშია ექსპორტირებული,** — ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, ექსპორტირებული თაფლის ღირებულებამ, ჯამურად, 657 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. **„ექსპორტის ღირებულების ზრდა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 436%-ია, მოცულობის კი, 696%. საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე თაფლის ექსპორტი ნებადართულია 2016 წლიდან“,** — აღნიშნულია ინფორმაციაში.

# ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ „ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲡ“




ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲔ ᲗᲐᲧᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ „ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲪᲘᲙᲚᲡ: **„ᲢᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘ – ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ. ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ“** ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲜᲝᲕᲐᲜ **ᲜᲐᲨᲠᲝᲛᲡ „ᲢᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘ – ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ-ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ“** (ᲥᲐᲠᲗᲣᲚ, ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ).

### „ᲢᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘ – ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲔᲑᲘ. ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ“

● გამოცემაში წარმოდგენილია ტაო-კლარჯეთის მხარესთან დაკავშირებული უმდიდრესი ქართული კულტურული მემკვიდრეობა. კატალოგი შედგება შემდეგი თავებისაგან: ისტორიისა და კულტურის ძეგლები; ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული ხელნაწერები და ისტორიული დოკუმენტები; ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული ისტორიული პირები (ენციკლოპედიური ლექსიკონი); ისტორიული პუნქტების ცნობარი (თანამედროვე ადმინისტრაციული ერთეულების, პუნქტების ძველი და თანამედროვე სახელების მითითებით); ბიბლიოგრაფია.

● ისტორიულ ძეგლთა კატალოგში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი მონასტრების, ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეების მონაცემები. მასალა დალაგებულია ისტორიული პროვინციების მიხედვით: სპერი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა (მაჭახლის ხეობა), ლაზეთი („ზღვისპირი“), კოლა, არტაანი, ერუშეთი, ჩრდილი, ჯავახეთი (ზემო ჯავახეთი), სამცხე (ფოცხოვის ხეობა).

● ნაშრომი განკუთვნილია როგორც მეცნიერთა, ისე ტაო-კლარჯეთის მხარით დაგულისყურებული საზოგადოების ფართო წრისათვის.

● პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რედაქტორი — **ბუბა კუდავა**. ავტორ-შემდგენლები — **ნესტან ბაგაური, ზურაბ ბატიაშვილი, ირმა ბერიძე, ბუბა კუდავა, ნიკოლოზ ჟღენტი, გოჩა საითიძე, ნათია ხიზანიშვილი.**

### „ᲢᲐᲝ-ᲙᲚᲐᲠᲯᲔᲗᲘ – ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ-ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ“

(ᲥᲐᲠᲗᲣᲚ, ᲘᲜ�გᲚᲘᲡᲣᲠ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ)

● აღნიშნული გამოცემა ერთიანი საისტორიო ნარკვევია ტაო-კლარჯეთის შესახებ, რომელიც მოიცავს პერიოდებს უძველესი დროიდან, ვიდრე თანამედროვე ეპოქამდე. გარდა ისტორიისა, წიგნში წარმოდგენილია თავები ტაო-კლარჯეთის მხარის კულტურის, ტრადიციული ყოფის, დღემდე დაცული ქართული ენისა და სხვათა შესახებ. თითოეული თავი გაფორმებულია შესაბამისი ილუსტრაციებით, სადაც აღბეჭდილია ტაო-კლარჯული იშვიათი გეოგრაფიული გარემო, არქიტექტურული ძეგლები, ადგილობრივთა ყოფა და ტიპაჟები.

● გამოცემა საეტაპო მნიშვნელობისაა როგორც კონკრეტული მხარით დაგულისყურებულ მეცნიერთათვის, ასევე ფართო საზოგადოებისა და ტურისტული ნაწილისთვის.

● ავტორები — **ზურა ბატიაშვილი, ირმა ბერიძე, ნანა ბურჭულაძე, გიორგი გაგოშიძე, როზეტა გუჯეჯიანი, ბუბა კუდავა (რედაქტორი), ნიკოლოზ ჟღენტი, გოჩა საითიძე (რედაქტორი), ნათია ფონიავა, ნესტან ჩხიკვაძე, გიორგი ჭეიშვილი, ნათია ხიზანიშვილი.**

## ᲩᲘᲩᲘᲚᲐᲙᲔᲑᲘ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲣᲙᲕᲔ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲑᲘᲜᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲘᲩᲘᲚᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲢᲐᲜᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲘᲡ FACEBOOK-ᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ.

**„იქნებ გაგახსენდეთ, რომ ჩიჩილაკები ზოოპარკში გვჭირდება, ცხოველებისთვის. თუ ეჭვი შეგეპარებათ, ამათაც მოსცლიათ, რა ჯანდაბად უნდათ ეს ჩიჩილაკებიო, ამ პოსტზე მიბმული ტექსტი გადაიკითხეთ და ფოტოებიც დაათვალიერეთ.**

**თუ ჩათვლით, რომ გათლილი ჯოხის დათვისთვის ჩუქებით ბარაქას მოიკლებთ, არ მოგვიტანოთ. მერე ჩვენ არ დაგვბრალდეს რამე. თუ გადაწყვეტთ, რომ კარგი საქმეა და ამით ცხოველებს დაეხმარებით, სხვებსაც გაუზიარეთ ეს ამბავი. მოკლედ, ამდენი იმიტომ ვწერეთ, რომ არ დაიზაროთ და ჩიჩილაკი გამოაყოლოთ ზოოპარკში, გმირთა მოედნისკენ რომ წამოხვალთ“...**

## „ᲔᲜᲘ�გᲛᲐ“ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

**აუქციონის სახლი Sotheby's მსოფლიოში ყველაზე დიდ შავ ბრილიანტს — „ენიგმას“ გაყიდის.**

ძვირფასი ქვის წონა 555, 55 კარატია და მას 3-9 თებერვალს, დუბაიში გაყიდიან. Sotheby'c-ში აზუსტებენ, რომ ბრილიანტის მოქმედმა მფლობელმა ის 1999 ან 2000 წელს შეიძინა და მისი ვინაობა არ საჯაროვდება. უცნობია ბრილიანტის წარმოშობაც. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით „ენიგმა“ მეტეორიტის დაცემის შედეგად წარმოიქმნა, თუმცა ზოგი მიიჩნევს, რომ ეს ალმასის ასტეროიდის ნაწილია, რომელიც დედამიწას შეეჯახა. დაუმუშავებელი ქვის წონა 800 კარატს შეადგენდა. „ენიგმას“ დამუშავებას რამდენიმე წელი დასჭირდა და იმის მიუხედავად, რომ ქვის ზომა შემცირდა, ის მსოფლიოში უმსხვილეს ბრილიანტად რჩება. ამასთან, „ენიგმას“ აუქციონზე სარეზერვო ფასის გარეშე გაიტანენ: მას ის შეიძენს, ვინც ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს. აუქციონზე გადახდა კრიპტოვალუტითაც იქნება შესაძლებელი.

## ᲛᲐᲓᲐᲛ ᲢᲘᲣᲡᲝᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲘᲜᲐᲓᲐᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ



**ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ ᲛᲐᲓᲐᲛ ᲢᲘᲣᲡᲝᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ᲯᲝ ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ, ᲙᲐᲛᲐᲚᲐ ᲰᲐᲠᲘᲡᲘᲡ ᲪᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲘᲜᲐ.**

ᲝᲠᲘᲕᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘᲡ ᲩᲐᲪᲛᲣᲚᲝᲑᲐ 2021 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲜᲐᲣ�გᲣᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ �კᲐᲛᲐᲚᲐ ᲰᲐᲠᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲪᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲘ�გᲣᲠᲐᲪ �მᲐᲓᲐᲛ ᲢᲘᲣᲡᲝᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ. ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲤᲘ�გᲣᲠᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ 6 ᲗᲕᲔ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ. ᲤᲘ�გᲣᲠᲔᲑᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲝᲕᲐᲚᲣᲠ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ.

## ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ

**ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ** მონარქი 95 წლის ასაკში სრულფასოვნად ასრულებს დედოფლის ფუნქციებსა და მოვალეობებს და ინარჩუნებს აქტიურობას, ამას კი რამდენიმე მეთოდით ახერხებს.

როგორც ცნობილი გახდა, დედოფალი უპირატესობას მარტივ სადილებსა და ვახშმებს ანიჭებს. მისი ყოფილი მზარეული ამბობს, რომ დედოფალი თევზსა და ხორცს მხოლოდ ბოსტნეულის გარნირთან ერთად მიირთმევს. დედოფალი ცდილობს, არ მიიღოს ნახშირწყლები, ისეთები როგორიცაა კარტოფილი და მაკარონი, ამას კი განსაკუთრებით საღამოობით აკონტროლებს.

კიდევ ერთი საიდუმლო ოთხჯერადი კვებაა, სრულფასოვანი საუზმე, სადილი, სადილის შემდგომი ჩაი და ვახშამი... და ეს ყოველდღიურად ერთსა და იმავე საათზე. ამასთანავე, დედოფალი რეგულარულად მიმართავს ფიზიკურ ვარჯიშებს. მიუხედავად იმისა, რომ ელისაბედ მეორე არასდროს ყოფილა ფიტნესის თაყვანისმცემელი, ის ყოველდღიურად ასრულებს გარკვეულ ვარჯიშებს. **სრულფასოვანი ძილისთვის კი ის ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს იძინებს, დაწოლამდე სვამს ერთ ჭიქა შამპანურს, შემდეგ ლოგინში კითხულობს და 23:00 საათზე იძინებს. დილით კი 07:30-ზე იღვიძებს.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35
�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ �გᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
Ტ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲕᲐᲚ, 21 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ**

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.0840; ᲔᲕᲠᲝ - 3.5130;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.1992;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.0371; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.2271;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8168;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.4082.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 20 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ -7, ᲓᲦᲔ +3
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ -11, ᲓᲦᲔ +1
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ -4, ᲓᲦᲔ +5
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ -8, ᲓᲦᲔ +1
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ -2, ᲓᲦᲔ +3

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge